ხაშურის მოამბე

№47 (248) 9 დეკემბერი, ორშაბათი, 2019 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

3 დეკემბერს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი.

სხდომაზე, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საკრებულოს წევრებმა ცვლილებები შეიტანეს საკრებულოს მიერ ადრემიღებულ რამდენიმე განკარგულებასა და დადგენილებაში.

მორიგ საკითხად საკრებულოზე გატანილი იყო სურამში, მიხეილ მურვანიშვილის ძეგლის (ბიუსტის) განთავსების თემა. სხდომაზე აღინიშნა, რომ მოქანდაკე კახაბერ მურადაშვილმა ხაშურის მუნიციპალიტეტს საჩუქრად გადასცა ცნობილი მეტყევის და დიდი მამულიშვილის მიხეილ მურვანიშვილის ბიუსტი, რომლის განთავსებასაც სურამის მოსახლეობა დაბის ცენტრში არსებულ სკვერში ითხოვს. საკრებულოს წევრებმა, გაითვალისწინეს რა მოსახლეობის თხოვნა, ამასთან, მოისმინეს რა ამ საკითხზე მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფის დასკვნები და რეკომენდაციები, მიიღეს გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ სკვერში ძეგლის განთავსების თაობაზე.

სხდომაზე, საკრებულოს წევრები გაეცნენ საკრებულოს წევრის, ნაციონალური მოძრაობის პარტიული სიით არჩეულ დავით გარადინსკის განცხადებას, რომელიც, ოჯახური პირობებიდან გამომდინარე, ითხოვდა მისი, როგორც საკრებულოს წევრის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას. საკრებულოს წევრებმა დააკმაყოფილეს მისი განცხადება. აქედან გამომდინარე, იმის გამო, რომ საკრებულოში არსებული ფრაქცია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ გამოაკლდა ერთი წევრი და დარჩა მხოლოდ ორი, რაც დებულებით დაუშვებელია, კანონის შესაბამისად, აღნიშნული ფრაქცია გაუქმებულად გამოცხადდა.

ამით საკრებულოს რიგითი სხდომა დასრულდა. მორიგი სხდომა, რომელმაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცებაზე უნდა იმსჯელოს, უახლოეს დღეებში გაიმართება.

სურამს ურბანული განვითარების გენერალური გეგმა ექნება

ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავებაზე სურამში ხელშეკრულება გაფორმდა

დოკუმენტს ხელი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ ილია ბეგიაშვილმა და ორგანიზაცია „ურბანიკას“ წარმომადგენელმა ირაკლი მურღულიამ მოაწერეს

კონკურსის საფუძველზე გამარჯვებული კომპანია შეიმუშავებს სურამის გენერალური გეგმისა და ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმის პროექტებს, რაც სურამის ეფექტიანად განვითარებას უზრუნველყოფს. „ურბანიკა“ ასევე მოამზადებს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.

ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიას ესწრებოდნენ შიდა ქართლის გუბერნატორი გიორგი ხოჯევანიშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და სურამის საზოგადოების წარმომადგენლები.

ქალაქთმშენებლობით გეგმებზე მუშაობა მომავალი წლის ბოლომდე დასრულდება.

ხაშურში, ახალი ბანას მიმდებარე ტერიტორიაზე, პროფესიული სასწავლებელი აშენდება

მშენებლობაზე ტენდერი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ გამოაცხადა. სამუშაოების ღირებულება 11 მილიონი ლარია.

ახალი ბანას მშენებარე ტაძრის ირგვლივ დაგეგმილი კულტურულ-საგანმანათლებლო კომპლექსის ფარგლებში, ხაშურის პროფესიული სასწავლებლის შენობა, სქემატური პროექტის მიხედვით, წარმოადგენს რამდენიმე მოცულობისაგან შემდგარ არქიტექტურულ კომპოზიციას.

პროექტით გათვალისწინებული სხვადასხვა ნაგებობები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან შიდა და გარე საკვანძო შემავალი ელემენტებით, ძირითად ცენტრალურ ღერძს კი წარმოადგენს სამსართულიანი ნაგებობა.

პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა ხაშურის მუნიციპალიტეტს ახალ სიცოცხლეს შესძენს.

შეხვედრა საკომუნიკაციო დარგის მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, 25 ნოემბერს საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომლის მიზანიც სატელეკომუნიკაციო დარგის მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება იყო.

შეხვედრას მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ომბუდსმენი გვანცა ჩხეიძე უძღვებოდა. მან დამსწრე აუდიტორიას წარუდგინა ინფორმაცია სამსახურის საქმიანობის შესახებ, გააცნო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები, კომპანიების ვალდებულებები, საჩივრის/განცხადებების განხილვის წესები და ვადები, აგრეთვე დარგში შემავალი სხვა საკითხები. ომბუდსმენის განმარტებით, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ფუნქციონირების მიზანი ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაა.

შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული პირები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება #109

2019 წლის 3 დეკემბერი. ხაშური

დაბა სურამის ცენტრში არსებულ სკვერში მიხეილ მურვანიშვილის ქანდაკების (ბიუსტი) განთავსების თაობაზე

მოქანდაკე კახაბერ მურადაშვილმა ხაშურის მუნიციპალიტეტს საჩუქრად გადმოსცა დამსახურებული მეტყევის და დაბა სურამის მკვიდრის მიხეილ მურვანიშვილის ქანდაკება (ბიუსტი), რომლის განთავსებასაც დაბა სურამის მოსახლეობა ითხოვს დაბა სურამის ცენტრში არსებულ სკვერში. საკითხი შეისწავლა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2019 წლის 22 ნოემბრის №2035 ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, სადაც საკითხის შესასწავლად მოწვეულები იყვნენ როგორც ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და თანამდებობის პირები, აგრეთვე მიხეილ მურვანიშვილის შვილიშვილები და შესაბამისი დარგის სპეციალისტები. სამუშაო ჯგუფს (სამუშაო ჯგუფის 2019 წლის სხდომის ოქმი და დასკვნა) მიზანშეწონილად მიაჩნია დაბა სურამის ცენტრში არსებულ სკვერში განთავსდეს მიხეილ მურვანიშვილის ქანდაკება (ბიუსტი). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ითვალისწინებს რა მოსახლეობის თხოვნას და სამუშაო ჯგუფის მოსაზრებას, იღებს გადაწყვეტილებას ქანდაკების (ბიუსტი) დაბა სურამის ცენტრში არსებულ სკვერში განთავსების თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის და საქართველოს კანონის „კულტურის შესახებ“ მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დაბა სურამის ცენტრში არსებულ სკვერში განთავსდეს მიხეილ მურვანიშვილის ქანდაკება (ბიუსტი).
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების 1-ლი პუნქტის შესრულებასთან;
3. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;
4. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

მიხეილ ჯანაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება # 113

2019 წლის 3 დეკემბერი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 ნოემბრის ბიუროს სხდომაზე დამტკიცდა საკრებულოს კომისიების წლიური სამუშაო გეგმები, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა საკრებულოს პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ №22 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საჭიროებს საკრებულოს სხდომაზე დამტკიცებას

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ №22 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა დანართის შესაბამისად. (დანართი თან ერთვის 1 ფურცლად);
2. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულება ეცნობოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15)

მიხეილ ჯანაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე

				დანართი
	ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის I კვარტლის სამუშაო გ ე გ მ ა			
N	საკრებულოს სხდომაზე განსახილველ საკითხების დასახელება	განხილვის დრო	საკითხზე მომხსენებელი	საკითხის მომზადებაზე პასუხისმგებელი კომისია
1	*2*	*3*	*4*	*5*
1	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურუდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ	იანვარი	იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია
2	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ	იანვარი	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი	საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია
3	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ	თებერვალი	ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი	საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია
4	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა (ა)იპ „ხაშურსერვისის" მიერ 2019 წლის გაწეული მუშაობის შესახებ	მარტი	ა(ა)იპ „ხაშურსერვისის" დირექტორი	საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება #115

2019 წლის 3 დეკემბერი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“გაუქმების ცნობად მიღების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით არჩეულ - დავით გარადინსკის, რომელიც გაწევრიანებული იყო საკრებულოს ფრაქცია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“, 2019 წლის 23 ნოემბრიდან,პირადი განცხადებით ვადამდე შეუწყდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, რის შედეგადაც ზემოხსენებულ ფრაქციაში (თავმჯდომარე - როინ მახარობლიძე, თავმჯდომარის მოადგილე - დავით გარადინსკი, წევრი - შავლეგ დოლიძე) დარჩა საკრებულოს 3 წევრზე ნაკლები, ამიტომ ფრაქცია ითვლება გაუქმებულად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 61-მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №22 დადგენილებით დამტკიცებული „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 35-ე მუხლის 14-ე პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ცნობად იქნეს მიღებული ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაუქმება 2019 წლის 23 ნოემბრიდან.
2. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, სარჩელის წარდგენის გზით, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

მიხეილ ჯანაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2019 წლის თერთმეტ თვეში გაწეული მუშაობის ანგარიში

2019 წლის პირველი იანვრიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური პროგრამების განხორციელებას.

2019 წელს, სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა ფულადი დახმარების სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამა, რომელთა ფინანსური მოცულობა შეადგენს 1065 825 ლარს. მათ შორის:

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამა - 95 000 ლარი;

ბ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა 785 000;

გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა - 29 100 ლარი;

დ) კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა - 20 400 ლარი;

ე) უმწეოთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამა - 113 325 ლარი;

ვ) სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამა - 23 000 ლარი;

2019 წლის თერთმეტი თვისათვის კი მდგომარეობა ასეთია:

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამა - 77 179 ლარი;

ბ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამა - 819635 ლარი;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა სოციალური მომსახურების პროგრამა - 24 791 ლარი;

დ) კონფლიქტის ზონასთან მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა -18 052 ლარი;

ე) უმწეოთა უფასო კვების მუნიციპალური პროგრამა - 94 747 ლარი;

ვ) სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამა - 16 194 ლარი;

გაწეული დახმარების მთლიან მოცულობაში მნიშვნელოვანი წილი უკავია ქრონიკული დაავადების მქონე ავადმყოფების უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფას. მედიკამენტების მიღება ხდება 100 ლარის ფარგლებში. აღნიშნული მუხლით დაფინანსება ეხება შემდეგი კატეგორიის ავადმყოფებს: ეპილეფსიით, პარკისონით, დაუნის სინდრომით, ბრონქული ასთმით, ინსულტით, ჰემოფილიით, ღვიძლის ციროზით, სისტემური და ეპიდემიის შედეგად დაავადებულებს და ასევე ონკოლოგირ ავადმყოფებს. ამ მიზნით გაეწია 16 485 ლარამდე დახმარება 100-ზე მეტ ბენეფიციარს.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ქრონიკული დაავადების მქონე ბავშვების/ მოზარდების რეაბილიტაციის კურსის დაფინანსებას. სქოლიოზით დაავადებულ 54 მოზარდს გაეწია დახმარება და ჩაუტარდა რეაბილიტაციის სრული კურსი, რამაც 12500 ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის მუნიციპალური პროგრამით ფულადი სოცია;ური დახმარება გაეწია მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირებს და იმ პირებს რომლებიც დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებიან ან საჭიროებენ მომვლელს. აღნიშნული კატეგორიის 151 ბენეფიციარს გაეწია 42 300 ლარის ფულადი დახმარება.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, დადებითი როლი ითამაშა ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებამაც. ამ მუხლით ფინანსდებიან:

1. ა) ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ გეგმიურ ქირურგიულ ჩარევას;

ბ) ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ მაღალტექნოლოგიურ გამოკვლევებს (ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევა, კომპიუტერული ტომოგრაფია და იმუნოჰისტოქიმიური კვლევა);

2. ავადმყოფები, რომელთა სამედიცინო მომსახურებას არ აფინანსებს სადაზღვევო კომპანია, ან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა;

3. ავადმყოფები, რომლებიც საჭიროებენ სხივური და ქიმიოთერაპიის კურსის თანადაფინანსებას;

4. „C“ ჰეპატიტით დაავადებულთა კვლევების თანადაფინასებას;

მე-2 პუნქტით- „ავადმყოფები, რომელთა სამედიცინო მომსახურებას არ აფინანსებს სადაზღვევო კომპანია, ან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“-დახმარების გაცემის შესაძლებლობას, მიზანშეწონილებას და მოცულობას (არაუმეტეს 2000 ლარისა) განსაზღვრავს 2018 წლის 23 მაისის 1196 ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული მუხლით ფულადი დახმარება გაეწია 832-მდე ბენეფიციარს, რამაც სულ შეადგინა 406297-მდე ლარი.

ასევე დაფინანსდა 59 ხელმოკლე სტუდენტი. მათ სწავლის ღირებულების თანადაფინანსებისათვის, 800 ლარის ფარგლებში, უმაღლეს სასწავლებელში ჩაერიცხათ 43562-მდე ლარი;

თირკმლის დიალიზის პროგრამაში ჩართულმა 54 ბენეფიციარმა მიიღო დაფინანსება 25 800 ლარის ოდენობით;

მრავალშვილიან (ოთხი და მეტი შვილი) დედებს, რომლებსაც შეეძინათ ოთხი და მეტი შვილი, ასევე, დედის დღესთან დაკავშირებით 355 მრავალშვილიან დედას გაეწიათ ფინანსური დახმარება 117 300 ლარის ოდენობით.

გრძელდება სოციალური დახმარების გაწევა დედ-მამით ობოლ ბავშვებზე. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ასეთმა 3 ბავშვმა მიიღო დახმარება 1200 ლარის ოდენობით.

პარალელურად გრძელდება წინა პერიოდში დაწყებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების დღის მოვლის ცენტრის, მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამები.

გარდა ამისა, უმწეო მდგომარეობაში მყოფი 185 მოქალაქე სარგებლობს უფასო სასადილოს მომსახურებით, რომლის დანახარჯი დღეის მდგომარეობით შეადგენს 94 747 ლარს;

გრძელდება კონფლიქტის გამყოფი ხაზის მიმდებარე და მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის დაფინანსების მუნიციპალური პროგრამა.

მიმდინარე წელს, სოციალურად დაუცველ 650 ოჯახს, შობისა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, კვების პროდუქტების პაკეტებით გაეწიათ დახმარება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 70 000 ლარი;

ასევე, ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილმა 9 ოჯახმა მიიღო ფულადი დახმარება 16500 ლარის ოდენობით;

უკიდურესად გაჭირვებულ და უბინაო მოქალაქეებს ბინის ქირით უზრუნველსაყოფად ჩაერიცხათ 52 580 ლარი;

ომის ვეტერანთა 58 ოჯახს გაეწიათ ფულადი დახმარება ფაშიზმზე გამარჯვების და საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით 300-300 ლარით. სულ ამ თანხამ შეადგინა 17400 ლარი

ჩვენი სამსახური მომავალშიც ეცდება გაითვალისწინოს საზოგადოებაში არსებული პრობლემები და მოთხოვნები, რომელიც შესაბამისად ასახული იქნება მოქმედ პროგრამებში.

გიორგი ცერცვაძე, სამსახურის ხელმძღვანელი:

ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიპიკაციო ნაგებობები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #41,42,44,45,46)

რომ ნამდვილად ოსიაურზე გადიოდა სურამისკენ მიმავალი გზა, ეს დასტურდება რუსუდან დედოფლის 1734 წლის სიგელიდანაც. დედოფალს ერთგულებისა და სამსახურისათვის ალელი ადამ ზურაბაშვილისათვის „...ოსიაურს სურამის გზაზედამ ნაფუზრების თავს თორმეტი დღის მიწა“ უწყალობებია.

ოსიაურის ციხე, ზემო ოსიაურის ცენტრში, მდინარე სურამულას მარცხენა მხარეს, შემაღლებულ ბექობზე მდებარეობს. იგი თარიღდება XVII-XVIII საუკუნეებით, ნაგებია ქვიშა ქვით, შიგადაშიგ გამოერევა რიყის ქვაც.

გეგმით ციხე კვადრატულია (10X10), მსგავსად ანალოგიური ციხეებისა (მაგ. აბისი).იგი სამსართულიანი მაინც უნდა ყოფილიყო. შემორჩენილია მხოლოდ პირველი სართული.

ციხე ცენტრში ოთხკუთხედია. კუთხეებში მცირე ზომის ცილინდრული კოშკები დგას (დიამეტრი 2,4 მ.). ციხის ცენტრალურ ნაწილს შიგნით ცილინდრული ფორმა აქვს (დიამეტრი 4,4 მ.), მსგავსად კოშკებისა. ეს კოშკები ერთი ტიპისაა და ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. კუთხის ოთხივე კოშკი თითქმის ერთნაირადაა გადაწყვეტილი.

შესასვლელი ჩრდილოეთის მქრიდან არის და ახალი უნდა იყოს. ვფიქრობთ, ციხეს შესასვლელი მეორე სართულზე უნდა ჰქონოდა.

სართულშუა გადახურვა ქვისაა. როგორც ცენტრალური ნაწილის, ასევე კოშკების გადახურვა, ნახევარწრიულია, სფეროსებურია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კოშკებში გადახურვის ცენტრალური ნაწილი ღრმად არის შეწეული.

ციხის ცენტრალური ნაწილის აღმოსავლეთის და სამხრეთის კედლებში გაჭრილია თითო სათოფური. აქედან გასასვლელია ოთხივე კოშკში. გასასვლელები ნახევარწრიული თაღებითაა. თითოეულ კოშკში ორ-ორი სათოფურია გაჭრილი. სათოფურებს ტრაპეციის ფორმა აქვთ, დაბლა განიერია, ზემოთ ვიწრო. სათოფურების თაღი ნახევარწრიულია.

ჩრდილო-დასავლეთის მხრის კოშკში შესასვლელიდან ადის კიბე ციხის მეორე სართულზე. ამდენად, ის რაც შემორჩენილია ციხიდან - პირველი სართული, იგი ჩვეულებრივ დამხმარე იქნებოდა.

ციხეს, როგორც თავდაცვითი, ასევე საცხოვრებელი დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა.

ოსიაურის ციხეს XVIII საუკუნის 70-იან წლებამდე ქართლ-კახეთის სამეფო კარი განაგებდა. იგი გარკვეულ ყურადღებას აქცევდა მას და ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლად მიაჩნდა შიდა ქართლის თავდაცვით სისტემაში. ამითაც უნდა იყოს განპირობებული ერეკლე II-ის 1764 წლის 21 ოქტომბრის ბრძანება, რომლითაც კატეგორიულად მოითხოვს სურამის ციხესთან ერთად ოსიაურის ციხეც დროებით მიეცეს თარხანოვს. ბრძანებაში ნათქვამია: „რასაცა დრო ითხოონ, უნდა მიეცესთ“.

XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან ციხე ვეზირიშვილების ხელში გადავიდა და მათ მფლობელობაში იყო. მათ 1797 წელს ეს ციხე განუახლებიათ კიდევაც, რაზეც უნდა ლაპარაკობდეს წარწერა, რომელიც მასზე ყოფილა მოთავსებული. წარწერა მოყვითალო ქვის ხუთ-გვერდიან ფილაზეა (58X35X9 სმ.) გაკეთებული. მისი ზედა გვერდი ორქანობიანია, წვეტიანი. ფილას გარშემო ჩარჩოდ შემოჰყვება მცენარეული ამოკოდვილი ორნამენტი. ჩარჩოს ზედა ნაწილში ამოკაწრულია ქერობინი. მის ქვემოთ კი ცხრა-სტრიქონიანი მხედრული წარწერაა ამოკოდვილი. წარწერა სწორი და ლამაზი ხელითაა ნაწერი. ქვა გატეხილია ოთხ ნაწილად, რომელთაგან მარჯვენა - შუა ნაწილი აკლია. ქვედა ნაწილს მარჯვენა და მარცხენა გვერდი ჩამოტეხილი და ჩარჩო დაზიანებული აქვს. მოტეხილია მარცხენა ქვედა კუთხეც. გახეთქის ადგილებში კიდეები ჩამოტეხილია და წარწერა დაზიანებულია.

ეს ფილა 1929 წელს ოსიაურიდან წაუღია პროფესორ ს. მაკალათიას და სახელმწიფო მუზეუმში ჩაუბარებია. წარწერა ჩამოვარდნილი ყოფილა ოსიაურის კოშკიდან (?) და ინახებოდა ვანო ამირხანოვის სახლში.

წარწერაში ნათქვამია:

„ქ. მინდობითა ყოვლად ძლიერისა ღ-თის კლავისათა აღვაშენე
კოშკი ესე დროსა დიდებულისა ყოვლისა საქართველო
სა მეფისა ირაკლის მე(ორი)სასა მისგან ნაწყალობევსა ს(ა)
(ყო)ფელსა ამას შინ(ა) წყალ(ობით)ა ...
მან ვეზირის შუილმან ...
თვესა მ(ა)ისსა წლსა ჩღჟზ 1797
მე ბევრი მითქომს, მე ვარ, ნურავინ იტყვის, თუ
მე ვარ, რომელიც თუ მე ვარ, ასრე გახდება, როგორც მე
ვარ, ვინცა ვინ წაიკითხოთ, შენდობა მიბოძეთ“.

როგორც ვხედავთ, წარწერაში ლაპარაკია კოშკის მშენებლობაზე. ვახუშტი ბატონიშვილი, გიულდენშტედტი და სხვები ლაპარაკობენ ოსიაურის ციხეზე. ოსიაურის ციხე გვხვდება დოკუმენტებშიც. ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ იმ ნაგებობის გარდა, რომელსაც მოსახლეობა ციხეს ეძახის ოსიაურში სხვა არ არსებობს, თუნდაც ნანგრევების სახით. ამიტომ წარწერა ამ ციხის განახლებაზე უნდა მიგვანიშნებდეს და არა კოშკის ახლად აშენებაზე. ციხის განმაახლებელი გიორგი ვეზირიშვილი უნდა იყოს.

ოსიაურის ციხის მნიშვნელობას განსაკუთრებით ზრდიდა ამ მხარში XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან დაწყებული ლეკთა გახშირებული შემოსევები.

ერთ-ერთი ასეთი შემოსევის დროს, 1731 წლის 24 სექტემბერს ლეკებმა სასტიკად ააოხრეს სურამი, გადაწვეს ოსიაური, ახალსოფელი, სატივე, ლუბრუმა, ცედანი და ოძისი. ხელთ ჩაიგდეს დიდძალი საქონელი და ტყვე: „... მიუხდნენ ლეკნი სურამს, გარეშემო ააოხრეს, დაწვეს ოსიაური, ახალსოფელი, სატივე, ლუბრუმა, ცედანი, ოძისი, წაიღეს ნაშოვარი, ტყვე და პირუტყვი“, - წერს ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე

სამეფო კარმა არაერთი ღონისძიება გაატარა ლეკთა თარეშის ასალაგმავად, ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იყო მორიგე ლაშქრის შექმნა. თეიმურაზ II-ის 1756 წლის ზემო ქართლის მორიგე ლაშქრის ნუსხის მიხედვით, ოსიაურიდან ლაშქარში უნდა გასულიყო ერთი ცხენოსანი: „ქ. ოსიაურიდან ცხენოსანი ა(1)“ - ნათქვამია ნუსხაში.

1772 წლის 16 ნოემბერს, ახალციხის ფაშის სულეიმანის წაქეზებით, ქართლს შემოსეული ლეკის ჯარი როსტომ ხიდირბეგიშვილის წინამძღოლობით მიადგნენ ცხინვალს და „...რაც ციხის გარეთ ხალხი იყო, სულ დაატყვევეს 600 სულამდე“. ცხინვალიდან გამობრუნებულმა ლეკებმა აიკლეს ოსიაურის ციხეც.

სურამისკენ მიმავალ გზაზე, მდინარე სურამულას მარცხენა მხარეს, შემაღლებულ ფერდობზე დგას **ხაშურის კოშკი**.

იგი თარიღდება XVIII საუკუნით.

ეკუთვნოდა ხიდირბეგიშვილებს.

კოშკი ოთხსართულიანია, ცილინდრულია (დიამეტრი 9 მ.). ნაგებია რიყის ქვით. შესასვლელი სამხრეთით აქვს, მეორე სართულზე, მიწიდან 3 მეტრის სიმაღლეზე. კარი თაღოვანია. მისი საპირები ქვიშა ქვისაა. სართულები ერთმანეთს კედელში დატანებული კიბით უკავშირდება.

პირველ სართულს ნიშები და ექვსი სათოფური აქვს. მეორე სართულზე ექვსი ნიშია, თითოეულში - ორ-ორი სათოფური. ჩრდილოეთით ბუხარი და ორი სარკმელია. მესამე სართულზე რვა ნიშია, თითოეულში ორ-ორი სათოფური. სამხრეთითა და ჩრდილოეთით ბუხრებია. მეოთხე სართულზე სათოფურები და ოთხი ნისკარტა სალოდეა. აქ აივანზე გასასვლელი სამი კარია - აღმოსავლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. შემორჩენილია აივნების ძელების ბუდეები.

კოშკის ფასადზე, შესასვლელის თავზე, აგურის წყობაში ცისფერი მოჭიქული ქვებით გამოყვანილია ჩაღრმავებული ჯვარი.

გვხვდება იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“.

ზემო ჭალიდან იძულებით გამოქცეულმა იოანე ხელაშვილმა „...შემდგომად შუაღამისა, შეკმაზა უნეი თვისი და იდუმალ განსრული სოფლით, ამხედრდა მას ზედა და იწყო ჭალასა მას შინა სიარული და არა უწყოდა, თუ სად მივალს. და უკანასკნელ იძულებული განვიდა მინდვრის კერძოდ და მიმოიხედებოდა, ნუთუ მახლობელ მისა იხილოს დაბა რაიმე შესაყრდნობელად თავისა თვისისა, გარნა საღამისა ძლით ვერა განერჩია მას“.

როდესაც იოანემ რიჟრაჟზე შენიშნა მდევარი, ღმერთს შეევედრა ეხსნა განსაცდელისგან. სიტყვები დამთავრებული არ ჰქონდა, რომ „... იხილა შორით კოშკი მაღალი ხაშურისა და მყის დაჰკრა ცხენსა მათრახი თვისი და ჭენებითა წარემართა მუნ“.

მდევრებთან საუბრის შემდეგ გაირკვა რომ სულ სხვა მიზნით დაედევნენ მას, გადასცეს ანას დანაბარები, აგრეთვე „ხუთი ოქრო“. იოანე გამოდის გლეხის სახლიდან, სადაც იმალებოდა და „...იხილა საშუალ სოფლისა კოშკი და სახლნი, იკითხა: ვინ ცხოვრობს აქა. და რქუეს: ხიდირბეგიშვილი“.

ხაშურიდან ჯერ შინდარაში, ხოლო აქედან სურამში ვხვდებით. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად „...შინდარას დასავლით, არს სურამი, მცირე ქალაქი...“.

სურამი ძველი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. იგი საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილ გზასაყარზე მდებარეობდა. აქ თავსიყრიდა დასავლეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გზები. ეს გზები კი საქართველოს ისტორიის ნებისმიერ ხანაში ინტენსიურად გამოიყენებოდა. ამ მნიშვნელობას უფრო მეტად ზრდიდა ის გარემოებაც, რომ მისით სარგებლობდნენ სხვა სახელმწიფოებიც - დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნები. სწორედ, ეს ფაქტორი უდევს საფუძვლად ჯერ კიდევ შორეულ წარსულში სურამის დაწინაურებას, რომელმაც შემდგომ თანდათან შეიძინა ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტის ფუნქცია.

სურამიდან დასავლეთ საქართველოსკენ რამდენიმე გზა მიემართებოდა. ერთ-ერთი გზა ეს იყო -სურამი - ფონა - წიფა - ნებოძირი.

მეორე გზა სურამიდან დასავლეთ საქართველოსკენ იყო **რიკოთის გადმოსავლით**: სურამი - ჩუმათელეთი - რიკოთის გადასავალი - ნადაბური - ძირულას ხეობა - ამაშუკეთი - უბისა - შროშა.

ნ. ბერძენიშვილი ლაპარაკობს მესამე გზაზეც: - სურამი - გვერდისუბანი - ბეკამი - ტეზერი - სავანლის უბანი - წიფა - და ა.შ.

სურამის გადასასვლელები უძველესი დროიდან არის ცნობილი. აღსანიშნავია ისიც, რომ სურამში დასახლების კვალი ჩვენს წელთაღრიცხვამდე საკმაოდ დიდი ხნის წინ არის ნავარაუდევი. ამ ადგილებში ადამიანს ადრე ბრინჯაოს ხანიდან უცხოვრია, ამაზე მეტყველებს ის არქეოლოგიური მასალა, რომელიც აქ შემთხვევით არის მოპოვებული. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თვით სურამი ანტიკური ხანის ქართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, შორეულ წარსულში სურამზე გადიოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზა. ადრეანტიკურ ხანაში სავაჭრო ურთიერთობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის წარმოებდა სურამის უღელტეხილით, რასაც ადასტურებს 1856 წელს სურამში აღმოჩენილი ძვ.წ.აღ-ის VI-V საუკუნეების ვერცხლის აქემენიდური სიკილა კოლხურ „თეთრთან“ ერთად. როგორც ჩანს, მონეტები სურამში მოხვდა სწორედ სურამის უღელტეხილის მეშვეობით. ამავე პერიოდში აღნიშნული უღელტეხილით ბერძნული იმპორტი იჭრება აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო ელინისტური ხანიდან, როცა ვაჭრობა იღებს ე.წ. „მსოფლიო“ ხასიათს და მასში არამხოლოდ მცირე აზია, მესოპოტამია და ეგვიპტე, არამედ შუა აზიის ქვეყნები, ინდოეთისა და ჩინეთის შორეული რაიონებიც ებმება, იქმნება ერთიანი დიდი სავაჭრო-სატრანზიტო გზა ინდოეთიდან ფაზისისაკენ.

ამ გზის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ IV-III საუკუნეების ბერძენი ისტორიკოსებისა და გეოგრაფების - არისტობულეს, პატროკლეს, ერასტოსთენეს შრომებში გვხვდება. სტრაბონი მათ ცნობებს ასე გადმოგვცემს: „არისტობულე ოქსოსს (მდ.ამუდარია) მიიჩნევს უდიდეს მდინარედ. არისტობულე და პატროკლეს სიტყვით, ერატოსთენეც ამბობენ, რომ ეს მდინარე სანაოსნოა და ამ მდინარით ბევრი ინდური საქონელი შემოაქვთ ჰირკანიის (კასპიის) ზღვაში, ხოლო აქედან ალბანიაში გადააქვთ და შემდეგ მტკვრითა და მის მომდევნო ადგილებით ევქსონიის (შავ) ზღვაში ჩააქვთ“.

თამაზ ლაცაბიძე

გაგრძელება იქნება

- გენდერული თანასწორობა -

ტრენინგი ქალთა შრომითი უფლებების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, ა(ა)იპ-ების და ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელ ჩორჩანის მოსახლეობის წარმომადგენელთათვის გენდერული თანასწორობის საკითხებზე ტრენინგი გაიმართა.

ტრენინგზე მსმენელებმა მიიღეს ინფორმაცია გენდერული სტერეოტიპების, გენდერის სოციალური კონსტრუქციის, გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ, ასევე ქალების წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევების შესახებ სამუშაო ადგილებზე.

ტრენინგი, რომლის მიზანიც იყო ხელი შეუწყოს საქართველოს რეგიონებში ქალთა შრომითი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, სოლიდარობის ცენტრის ორგანიზებით ტარდებოდა.

საინტერესო შეხვედრა სამ შემოქმედთან

29 ნოემბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკაში, შემოქმედ ქალბატონთან, ეკა ქაჯაიასთან შეხვედრა გაიმართა. მასთან ერთად საუკეთეო შემოქმედები სტუმრობდნენ ჩვენს ქალაქს - ბატონი ბაღათერ არაბული, რომელსაც დიდი დამსახურებ აქვს ქართულ მწერლობაში და ქალბატონი ნაირა მარშანია,ასევე ძალაინ დიდი დამსახურების მქონე შემოქმედი ქალბატონი.

ამ არაჩვეულებრივ შემოქმედებს დიდი ინტერესით უსმენდა ჩვენი ქალაქის საზოგადოება. ძალიან დახვეწილი პოეზია, სულში ჩამწვდომი სტრიქონები..

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სოფელ ქინძათის საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგი ფატი ღამბარაშვილი და სკოლის ბიბლიოთეკარი რუსუდან ხარაზიშვილი.

გია ყანჩელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო - მე-9 საჯარო სკოლაში

გასულ კვირას, ხაშურის შოთა რუსთაველის სახელობის №9 საჯარო სკოლაში, გაიმართა, უდიდესი ქართველი კომპოზიტორის, გენიალური გია ყანჩელისადმი მიძღვნილი თეატრალურ-მუსიკალური ღონისძიება სახელწოდებით „ყვითელი ფოთლები სიჩუმეს ჰგავს". ხელმძღვანელი და ორგანიზატორი ამავე სკოლის მუსიკის პედაგოგი მზევინარ რევაზიშვილი გახლდათ. ღონისიებაზე მოსწავლეებმა გააცოცხლეს პერსონაჟები იმ კინო-ფილმებიდან, რომლების მუსიკალური გაფორმებაც გია ყანჩელს ეკუთვნოდა. აგრეთვე, შესრულდა

კომპოზიტორის ყველასათვის საყვარელი მუსიკა და კომპოზიციები. უდიდესი შრომის, მონდომების, ენთუზიაზმის და ნიჭის წყალობით, შემოქმედებითი საღამო შედგა. აღინიშნა კიდეც, რომ, საქართველოს მასშტაბით, ასეთი ღონისძიებების ორგანიზებით, ძალიან ცოტა სკოლა თუ დაიკვეხნის. დამსწრე საზოგადოებამ დიდი მადლობა გადაუხადა ხელმძღვანელს და იდეის ავტორს მზევინარ რევაზიშვილს უანგარო სამსახურისთვის, „ადამიანს, რომელიც მუდამ სკოლის მოსწავლეების მორალური და ზნეობრივი აღზრდის სადარაჯოზე დგას".

გამწვანების აქცია ნაბახტევში

1 დეკემბერს,სოფელ ნაბახტევში, გამწვანების აქცია მოეწყო. სოფლის მკვიდრის, დავით ლობჟანიძის ინიციატივითა და ხელშეწყობით, სოფლის ცენტრში, სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, 60 სხვადასხვა სახეობის ნერგი დაირგო. საპნის ხე, ცაცხვი, აკაკის ხე, ფიჭვები, ტუიები-მცირე ჩამონათვალია იმ სახეობების, რომლებიც 2000კვ.მ ტერიტორიას დასვენებისა და რეკრეაციულ ზონად აქცევს. აქციაში სოფლის მოსახლეობასთან ერთად, ახალი თაობაც აქტიურად მონაწილეობდა.

შეხვედრის მიზანი - ქალთას მიმართ ძალადობის აღმოფხვრა

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში, 3 დეკემბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი და მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი ნინო სუხიაშვილი საქართველოს საპატრიარქოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის მოსწავლეებს შეხვდა.

შეხვედრის მიზანი მოსწავლეთათვის გენდერული თანასწორობის საკითხების გაცნობა იყო. მოსწავლეები გაეცნენ იმ საერთაშორისო და ადგილობრივ მექანიზმებს, რაც ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის მიღწევას და ქალის მიმართ ძალადობის აღმოფხვრას.

გაიმართა დისკუსია. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს CEDAW კონვენციის, გენდერული თანასწორობის და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონების თაობაზე.

შეხვედრის ინიციატორები იყვნენ ამავე სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი, ხაშურის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად გოგუაძე და სკოლის ადმინისტრაცია

პროფესიის შერჩევა სკოლიდან იწყება

ალის საჯარო სკოლაში, ინგლისურის მასწავლებლების ორგანიზებით, ჩატარდა პროფესიის დღე, სადაც მოწვეულნი იყვნენ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები. მოსწავლეები საკუთარი სურვილისამებრ ესაუბრებოდნენ იმ ადამიანებს, რომელთა პროფესიის დაუფლებასაც აპირებენ სამომავლოდ. მოწვეული სტუმრები მოსწავლეებს რჩევებს აძლევდნენ საკუთარი გამოცდილებიდან. მათი მიზანი იყო ბავშვებისთვის გაეცნოთ მათი პროფესიის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რატომ აირჩიეს ესა თუ ის პროფესია და რამდენად კმაყოფილნი არიან ისინი საკუთარი საქმიანობით. პროექტი მიზნად ისახავდა მოსწავლეებს მიეღოთ მეტი ინფორმაცია სასურველი პროფესიის შესახებ, შეჰქმნოდათ საფუძვლიანი წარმოდგენა იმ პროფესიებზე, რომლებიც მათ ინტერესთა სფეროშია მოქცეული და შეძლებოდათ გაეცნობიერებინათ, აქვთ თუ არა მათ ამ პროფესიისათვის საჭირო უნარი და ფიზიკური შესაძლებლობები. პროექტის გეგმა განხორციელდა. შეხვედრამ წარმატებით ჩაიარა.

ნათია ნოზაძე,
ალის საჯარო სკოლის მოსწავლე

- საინტერესო ისტორიები -

გამარჯვება თვითნაკეთი ციგებით

1967 წლის თებერვალი იდგა, სამი ქვიშხეთელი ახალგაზრდა – ტარიელ ყაზიშვილი, თემურ ქურდაძე და რამაზ ლომიძე, ბაკურიანში, თვითნაკეთი ციგებით, ერთ, საკმაოდ დიდ დაღმართზე ელვის სისწრაფით ეშვებოდნენ და გაოცებულ მაყურებელთა თვალწინ, ისევ უკან ბრუნდებოდნენ. ბიჭებს ერთი ლენინგრადელი მოთხილამურე მიუახლოვდა, გაეცნო და ლენინგრადში მიიპატიჟა, სადაც ახლადჩამოყალიბებული საციგაო სპორტის ფედერაცია სსრ კავშირის პირველ ჩემპიონატს ატარებდა. მე თვითონ ფედერაციის წევრი ვარ და დახმარებას გაგიწევთო-შეჰპირდა ლენინგრადელი სპორტსმენი.

ქვიშხეთში დღესაც პოპულარულია ციგაობა

იმავე წლის 15 მარტს, ქვიშხეთელი ბიჭები ლენინგრადს ეწვივნენ. ლენინგრადელი ნაცნობი შინ დახვდათ. სტუმრები მიიღო, კარგადაც გაუმასპინძლდა, ბინაც უშოვა სასტუმროში და განაცხადიც შეატანინა შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად.

და აი, დადგა შეჯიბრის დღეც. როგორც აღვნიშნე, საციგაო სპორტის ფედერაცია ახლადშექმნილი იყო და ჩემპიონატიც პირველად ტარდებოდა. ქვიშხეთელ ბიჭებს მეორე დღეს მოუხდათ გამოსვლა.

-სტარტზეა ტარიელ ყაზიშვილი საქართველოდან! -გამოაცხადა დიქტორმა. ელვის სისწრაფით მოსწყდა ტარიელი სასტარტო მოედანს. ციგაზე სხვებისაგან განსხვავებულად იჯდა, გვერდულად, ქვიშხეთურად. სხვები ზურგზე გადაწოლილები მართავდნენ ციგებს-დღეს რომ არის მიღებული. ტარიელის შედეგი საუკეთესო აღმოჩნდა. სსრ კავშირის პირველი ჩემპიონატის გამარჯვებულადაც ტარიელ ყაზიშვილი გამოაცხადეს. გაოცებულები მისჩერებოდნენ ტანმორჩილ მოციგავეს ახოვანი ბალტიისპირელები, თან თავს იქნევდნენ გაკვირვებულები.

ერთი წლის შემდეგ, ისევ მოვიდა მოწვევა. შეჯიბრი ბალტიისპირეთში, რიგასთან ახლოს, ქალაქ ტესისში ტარდებოდა: ტარიელ ყაზიშვილს, თემურ ქურდაძეს და რამაზ ლომიძეს, ჯონი სუთიაშვილი, ომარ ჩაჩანიძე და ზაურ ჩადუნელი დაემატნენ.

ისევ თვითნაკეთი ციგებით და მხურვალე გულებით გაემგზავრნენ ბიჭები რიგაში, იქიდან ტესისში. სამწუხაროდ, ერთ წელიწადში საციგაო სპორტში (ბობსლეი) გიგანტური ნაბიჯები გადაიდგა. თვითნაკეთი ციგები აღარავის ჰქონდა, ტრასებიც პრიმიტიული კი არა, სპეციალურად, ბობსლეისთვის იყო მოწყობილი, გაუჭირდათ ბიჭებს, მაგრამ ლენინგრადელი ნაცნობის მეშეობით, მაინც დაუშვეს შეჯიბრზე. ეს იყო და ეს. ასე დამთავრდა ქიშხეთელი ბიჭების მონაწილეობა ბობსლეიში. ასე აღმოჩნდნენ ისინი ამ სახეობის პიონერები საქართველოში.

მათი მონაწილეობის შესახებ ცნობილი გახდა საქართველოს სპორტკომიტეტში. პრესამაც სათანადო ადგილი დაუთმო. ბიჭების სურათებიც გამოქვეყნდა. მაშინდელი სპორტკომიტეტის თავმჯდომარის სიხარულიძის მითითებით, ზოგიერთი მათგანი ფიზკულტურის ინსტიტუტშიც კი ჩაირიცხა.

სულ მალე ბაკურიანში პირველი სპეციალური მოედანი მოეწყო და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიც ჩატარდა. ახლა უკვე ქვიშხეთელი სპორტსმენების გარეშე.

კლიმენტი სუთიაშვილი

საცირკო სანახაობები საზღვრისპირა მცხოვრები ბავშვებისთვის

კონფლიქტისპირა სოფლებში, წაღვლსა და ჩორჩანაში მცხოვრები ბავშვები და საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელები, 27 ნოემბერს, ხაშურში გამართულ საცირკო წარმოდგენებს დაესწრნენ.

მომდევნო დღეებში, საცირკო წარმოდგენები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვისაც გაიმართა.

აღნიშნული კატეგორიის ბავშვებისთვის ღონისძიებებზე უსასყიდლოდ დასწრება-ტრანსპორტირება, მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ ფინანსდება და ყოველწლიურად ხორციელდება.

თავისუფალი ჭიდაობა

წარმატება აფხაზეთის ღია პირველობაზე

ამ დღეებში, თავისუფალ ჭიდაობაში, გაიმართა აფხაზეთის ღია პირველობა, რომელშიც ხაშურის სასპორტო სკოლის 2004-2005 წლებში დაბადებული აღსაზრდელებიც იღებდნენ მონაწილეობას. გიორგი კვინიკაძის დამოძღვრილმა ახალგაზრდა სპორტსმენებმა ტურნირზე სამივე სინჯის მედლის აღება მოახერხეს. ოქროს მედალი მოიპოვა ლაშა ლომიძემ(45კგ), რომელსაც წარმატებული ასპარეზობისათვის ჟიული შარტავას სახელობის სპეციალური პრიზიც გადაეცა. ვერცხლის მედალი გიორგი ლაბაძემ მოიპოვა(60კგ), ხოლო ბრინჯაო-გოგა მულაძემ(51კგ).

ტარდება კონკურსი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს კონკურს „ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო ჯილდოს“ - დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემიის“ მინიჭებასთან დაკავშირებით.

„ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო ჯილდო - დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემია“ ენიჭება დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარს, რომელსაც გამოქვეყნებული ექნება სამეცნიერო ნაშრომები:

მონოგრაფია, სტატიები, დოკუმენტური მასალა.

პრემიის ოდენობა განისაზღვრება 2 500 ლარით.

კონკურსანტებმა, 11 დეკემბრის ჩათვლით, ტაბიძის ქ. #2-ში, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. გამოქვეყნებული ნაშრომები;
2. ოფიციალური წარდგინება (უნივერსიტეტის, მუზეუმის, კვლევითი ინსტიტუტის);
3. დადებითი რეცენზიები;
4. ავტობიოგრაფია;
5. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
6. საბანკო რეკვიზიტები.

გამარჯვებულს გამოავლენს სპეციალური კომისია.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.